
ЗЭЧЭЛЭГ ХЭЛБЭРШЭЭЛИЙН
ЛЕКЦЭЭР
12

1. თბილისური დილა ---------- 3
2. სიცოცხლე შენით მინდა ---------- 9
3. ნუ დამიმალავ, მითხარი ---------- 15
4. წამო, წავიდეთ ---------- 21
5. დაგეძებ, გეძახი ---------- 27
6. ნანი ნანატრი ქალი ---------- 34
7. სართიჭალა ---------- 42
8. შეაჩერეთ ომი ---------- 49
9. დიღმის მაწონი ---------- 54
10. დაგიბრუნდები თბილისო ---------- 62
11. დარჩა მოგონებად ---------- 70
12. ო, როგორ მიყვარხარ ---------- 74
13. გაგვიმარჯოს ყველას ---------- 79
14. წითელი კაბა ---------- 87
15. ჩემო რუსთავ ქალაქო ---------- 94
16. შენ პატარა ხაშურო ---------- 101
17. გაგიმარჯოს ზუგდიდო ---------- 107
18. სიყვარულის ბალადა ---------- 113
19. მამულო ჩემო ---------- 119
20. სიყვარულს უნდა შველა ---------- 125

თბილისური დილა

1998 წ. ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ოთარ კავკასიძის




mf
თბი ლი სუ რი დი ლა ჩუ მი ა ი სი გა ზაფ ხუ ლიც მო დის
mf
ფეთ ქავს მა ი სი გა მოვ დი ვარ გა რეთ ვუსტ ვენ დი ლი ჟანს
f
კარ გი ა მინ დი ა მართ ლაც დი ლის ჟამს გა მოვ დი ვარ გა რეთ
f


ვუსტ ვენ დი ლი ჟანს კარ გი ა მინ დი ა მართ ლაც დი ლის ჟამს
mf
მე ი დან ზე ჩა ვალ გა ი ტო ნი დან სიმ ღე რას მო ვის მენ
mf
გრა მა ფო ნი დან მიყ ვარს ქე ი ფი და დრო ის ტა რე ბა


f
რომ არ მო მაწ ყი ნონ ცელქ მა ქა ლებ მა მიყ ვარს ქე ი ფი და
f
დრო ის ტა რე ბა რომ არ მო მაწ ყი ნონ ცელქ მა ქა ლებ მა
ff



თბილისური დილა, ჩუმი აისი,
გაზაფხულიც მოდის ფეთქავს მაისი.
გამოვდივარ გარეთ, ვუსტვენ დილიჟანს,
კარგი ამინდია მართლაც დილის ჟამს.
მეიდანზე ჩავალ ფაიტონიდან,
სიმღერას მოვისმენ გრამაფონიდან.
მიყვარს ქეიფი და დროის ტარება,
რომ არ მომაწყინონ ცელქმა ქალებმა.

დავჯდები დუქანში მოვწევ სიგარეტს,
ორთაჭალის ტურფას ხელსაც გადავხვევ,
მოვიგონებ ყველას, მართლაც ძველ ბიჭებს,
გიჟუასთან ყანწით, გადვალ ალავერდს.
გურჯაანის ღვინო, ცხელი ხაშლამა,
ხაშურის ცოცხალი, ფოთის კამბალა,
კუჭმაჭი და მხალი, ცივი დედალი,
ქეიფის მენიუც სწორედ ეგ არის.

ხინკალი და მწვადი, კარგი ყაურმა,
ბატკნის ჩაქაფული, მამაპაპურად,
ამ ცხოვრებას ფხიზელს, მტერმა უყუროს,
არ იქნება დარდი - გული უგულო.

სიცოცხლე შენით მინდა

1982 წ. დუშეთი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ლია თანდილაშვილის



©


მძი ნარ წყალ ში ა თა მაშ და
მო ციმ ცი მე ვარს კვლა ვი ი სე ჩუ მად ი
ყო სი ო თით ქოს ზღა პარს უს მენ და


და ა სე თი მდუ მა რე ბით
მთვა რეც შენ ზე ფიქ რობ და ცის
f
f
სივრ ცე ზე მაღ ლა ავ ფრინ დე ბი


რომ ღი მი ლი ვარს კვლა ვე ბად გაფრ ქვი ო
ეს სი ცოცხ ლე შე ნით
მინ და მინ და


სი ცოცხ ლე შე ნით მინ და
mf
p

ცაზე მთვარე ამოცურდა,
როგორც ვერცხლის ლამპარი,
მძინარ წყალში ათამაშდა,
მოციმციმე ვარსკვლავი.
ისე ჩუმად იყო სიო,
თითქოს ზღაპარს უსმენდა,
და ასეთი მდუმარებით,
მთვარეც შენზე ფიქრობდა.

მისამღერი: ცის სივრცეზე მაღალა ავფრინდები,
რომ ღიმილი ვარსკვლავებად გაფრქვიო,
ეს სიცოცხლე შენით მინდა,
მინდა - სიცოცხლე შენით მინდა.

ცაზე მთვარე ამოცურდა,
მარტოობით დაღლილი,
და ლამაზი ოცნებისგან,
გულში ისარ გაყრილი.
ყველაფერი ისე თრთოდა,
როგორც ციცქნა ქალწული,
და მტირალა ტირიფები,
ნისლის კედელს აკრული.

ნუ დამიმალავ, მითხარი

2019 წ. ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით გიგინეიშვილის

Andante non troppo




შე ნი თმე ბის სურ ნე ლე ბა წარ სულსმა გო ნებს
13
იმ წარ სუ ლის მო გო ნე ბა მკლავს
მო მა გე ბე დი მი ლი და კვლავ და მამ შვი დე


წახ ვე დი და ჩე მი გუ ლიც სად ღაც წა ი ღე
რა ვქნა თუ კი მო ნატ რე ბის ცეცხლ ში ვიწ ვე ბი
სა ნუ გე შოდ მით ხარ სიტყ ვე ბი


მით ხა რი ნუ და მი მა ლავ მით ხა რი რომ არ ყო ფი ლა
სიზ მა რი რომ არ ყო ფილ ხარ მო ლან დე ბა
მით ხა რი ნუ და მი მა ლავ მით ხა რი რომ ა მიხ დი ნო


სიზ მა რი ი სევ უყ ვარ ხარ გულს

გარეთ წვიმამ გადაიღო, გამოიდარა,
ძველი სევდა გამახსენდა, ძველი იარა,
შენი თმების სურნელება წარსულს მაგონებს,
იმ წარსულის მონატრება მკლავს.
მომაგებე ღიმილი და კვლავ დამამშვიდე,
წახვედი და ჩემი გულიც სადღაც წაიღე,
რა ვქნა თუკი მონატრების ცეცხლში ვიწვები
სანუგეშოდ მითხარ სიტყვები.

მისამღერი: მითხარი, ნუ დამიმალავ მითხარი,
რომ არ ყოფილა სიზმარი,
რომ არ ყოფილხარ მოლანდება,
მითხარი, ნუ დამიმალავ მითხარი,
რომ ამიხდინო სიზმარი
ისევ უყვარხარ გულს.

ჩემი გულის სადარდებლად რად დაიბედე,
ეს ცხოვრება ჯოჯოხეთად რად გამიხადე,
ვცოცხლობ შენი მოგონებით გზა არეული,
და დავდივარ მარტოდ, ეული.
გარეთ წვიმამ ჩამორეცხა ფანჯრის მინები,
ცაზე ღრუბლებს გავატანე ავი ფიქრები,
დაგიძახე, მომენატრე, მოდი მიწამლე,
სანუგეშოდ სიტყვა მითხარ მე.

წამო, წავიდეთ

2019 წ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით გიგინეიშვილის




mf
მი დის მიჰქ რის ცხოვ რე ბა სად დაც მი უ ხა რი ა
mf
ვის თვის წვიმს და ვის თვის თოვს ან და ვის თვის და რი ა
მე ჩე მი მაქვს სა ვა ლი ე სეც ჩე მი ბე დი ა


ამ გზას შენ თან მოვ ყე ვარ და ეს გუ ლიც შე ნი ა
მო ვალ ვნე ბას ა გიშ ლი შე მოდ გო მის ქა რი ვარ
სიყ ვა რუ ლის ცეც ხლში ვიწ ვი მე


გა ნა რა მეს და გიშ ლი სა დაც მეტ ყვი და გიც დი
ოც ნე ბე ბის და მე ა რის დღეს
f
წა მო
წა მო წა მო დი წა ვი დეთ და ერ თად ვი ა როთ წა მო
f


წა მო ცხოვ რე ბის ბი ლი კი გა და ვი ა როთ წა მო
წა მო წა მო დი წა ვი დეთ და ერ თად ვი ა როთ წა მო
წა მო ცხოვ რე ბის ბი ლი კი
გა და ვი ა როთ
1
1
2
გა და ვი ა როთ
2

მიდის მიჰქრის ცხოვრება, სადღაც მიუხარია,
ვისთვის წვიმს და ვისთვის თოვს, ანდა ვისთვის დარია,
მე ჩემი მაქვს სავალი, ესეც ჩემი ბედია,
ამ გზას შენთან მოვყავარ და ეს გულიც შენია.
მოვალ ვნებას აგიშლი, შემოდგომის ქარი ვარ,
სიყვარულის ცეცხლში ვიწვი მე,
განა რამეს დაგიშლი სადაც მეტყვი დაგიცდი,
ოცნებების ღამე არის დღეს.

მისამღერი: წამო, წამო, წამოდი, წავიდეთ,
და ერთად ვიაროთ,
წამო, წამო ცხოვრების ბილიკი,
გადავიაროთ.

ვის რა ელის ვინ იცის, ეს ხომ ჩვენი ბედია,
ეს ცხოვრება ზოგისთვის, ცოტაა და ბევრია,
წამი წამს და წუთი წუთს, მისდევს დრო არ ჩერდება,
როცა გხედავ ეს გული სულ შენთვის ამღერდება.

დაგეძებ, გეძახი

2018 წ. ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ნუგზარ ერგემლიძის

Allegretto Moderato




შენ ჩე მი გუ ლის დარ დო
მე ვერ გა ნე ბებ თავს და მე სიზმ რე ბი ი სევ
შენს ახრ დილს დავ დევ გზად


შენს ლა მაზ თვა ლებს ცის ფერს
სულ ვა და რებ დი ზღვას
ე სეც ბე დი ა მეტყ ვი ოც ნე ბა მი აქვს ქარს


მე შე ნი ტრფო ბით მთვრა ლი
ვერ შე ვი ყვა რებ სხვას და გე ძებ გე ძა ხი
თვა ლე ბი შენ გე ლი ან მო გე ლი ან


რა და ხარ ნე ტავ ა სე თი რა და ხარ რად
ხომ ი ცი თუ რო გორ მიყ ვარ ხარ
f
და გე ძებ მე
f


თვა ლე ბი შენ გე ლი ან მო გე ლი ან
რა და ხარ ნე ტავ ა სე თი რა და ხარ რად
ხომ ი ცი თუ რო გორ მიყ ვარ ხარ

სადა ხარ ჩემო კარგო,
სად დაიკარგე, სად?
შენ ჩემი გულის დარდო...
მე ვერ განებებ თავს.

დამესიზმრები ისევ,
შენს აჩრდილს დავდევ გზად,
შენს ლამაზ თვალებს ცისფერს,
სულ ვადარებდი ზღვას...

ესეც ბედია მეტყვი,
ოცნება მიაქვს ქარს,
მე შენი ტრფობით მთვრალი,
ვერ შევიყვარებ სხვას.

მისამღერი: დაგეძებ, გეძახი... თვალები შენ გელიან, მოგელიან,
რადა ხარ ნეტავ ასეთი, რადა ხარ, რად,
ხომ იცი თუ როგორ მიყვარხარ.
დაგეძებ მე, თვალები შენ გელიან, მოგელიან,
რადა ხარ ნეტავ ასეთი, რადა ხარ, რად,
ხომ იცი თუ როგორ მიყვარხარ.

შენზე ვიმღერებ ისევ,
რომ მოგაწვდინო ხმა,
რომ გაიგო და მიხვდე,
რომ ერთადერთი ხარ!

შენ ჩემი გულის დარდო,
ნუღარ შემაჩვევ დარდს,
მოდი და გამახარე
გეყო, მაწამე რაც!!!

ნანი ნანატრი ქალი

(2003 წ. ქ.თბილისი)

Allegro tranquillo

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით ქურიძის



©


Pno.
Pno.
Pno.


Pno.
p
ტალ ღებს უ კოც ნის ჩუ მად და მტკვარს
Pno.
p
ე ფე რე ბა სი ო და ნა თის მთვა რე
Pno.


გუმ ბათს და
ე ჩურ ჩუ ლე ბა სი ოს
Pno.
არ მინ და
ღვი ნო არ მინ და
Pno.
დავ დი ვარ ლექ სით მთვრა ლი
ცამ დე
Pno.


ა მიყ ვანს მთაწ მინ და
რომ მოგკ რა სად მე
Pno.
თვა ლი
შე ნა ხარ სიზმ რად ქცე უ ლი
Pno.
ნა ნი ნა ნაზ რი ქა ლი
Pno.


ა მა ღამ თავ ზე სი ო ვარ და ვუ
Pno.
მე გობრ დი ტი რიცხს მე სიყ ვა რულ ზე
Pno.
ვმღე რი ვარ ის კი ჩემს ნაცვ ლად ტი
Pno.


რის მე სიყ ვა რულ ზე ვმღე რი ვარ
Pno.
ის კი ჩემს ნაცვ ლად ტი რის
Pno.

ტალღებს უკოცნის ჩუმად და
მტკვარს ეფერება სიო,
დანათის მთვარე გუმბათს და
ეჩურჩულება სიოს.
არ მინდა ღვინო, არ მინდა,
დავდივარ ლექსით მთვრალი,
ცამდე ამიყვანს მთაწმინდა,
რომ მოგკრა სადმე თვალი,
შენა ხარ სიზმრად ქცეული,
ნანი ნანატრი ქალი.

მისამღერი: ამაღამ თავზე სიო ვარ,
დავუმეგობრდი ტირიფს,
მე სიყვარულზე ვმღერივარ,
ის კი ჩემს ნაცვლად ტირის.

თითქოს გავანდე ფიქრები,
თითქოს არ მირჩევს ლოდინს,
მე სულ სხვა ქუჩას მივყვები,
ის მაინც შენსკენ მოდის.
არ მინდა ღვინო, არ მინდა,
დავდივარ ლექსით მთვრალი,
ყველა მუზასთან ვარ წმინდა,
მხოლოდ შენი მაქვს ვალი,
შენა ხარ ენით უთქნელი,
ნანი ნანატრი ქალი.

სართიჭალა

2014 წ. სართიჭალა

Vivace

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი როინ ბერაძის



©


ა სი უნ და და ით ვა ლო
ჩე მო ტკბი ლო სარ თი ჭა ლა
სა დაც გინ და რომ წა ვი დე


გულ ში მრჩე ბა დარ დი მჭვა ლად
ნე ტავ რო დის გი ნა ხუ ლებ
მშობ ლი უ რო სარ თი ჭა ლა


სა დაც გინ და რომ წა ვი დე
გულ ში მრჩე ბა დარ დი მჭვა ლად
ნე ტავ რო დის გი ნა ხუ ლებ მშობ ლი უ რო სარ თი ჭა


f
ლა
შენ ჩე მო სარ თი ჭა ლა
f
დმერ თმა მოგ ცეს დი დი ძა ლა გა ი ხა რე სარ თი ჭა ლა იდ ღეგრ ძე ლე
შენ ჩე მო ივ რის ვე ლო შენ ჩე მო ივ რის ჭა ლა გა გი მარ ჯოს სარ თი ჭა



ათ საუკუნეს რომ ითვლი განა მარტო ესა კმარა,
ასი უნდა დაითვალო ჩემო ტკბილო სართიჭალა,
სადაც გინდა რომ წავიდე გულში მრჩება დარდი მჭვალად,
ნეტავ როდის გინახულებ მშობლიურო სართიჭალა.

მისამღერი:

შენ ჩემო სართიჭალა ღმერთმა მოგცეს დიდი ძალა,
გაიხარე სართიჭალა, იდღეგრძელე
შენ ჩემო ივრის ველო შენ ჩემო ივრის ჭალა,
გაგიმარჯოს სართიჭალა.

ნეტავ როგორ შეველევი ივრის ველებს ივრის ჭალას,
ეს ხომ შენი სიმბოლოა ჩემო დიდო სართიჭალა,
ივრის პირზე გავიზარდე ნოსტალგიას ვერ დავმალავ,
მარად შენი უნდა ვიყო მშობლიურო სართიჭალა.

შეაჩერეთ ომი

1994 წ. ქ.თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ხატია წერეთელის

Allegro

pp

Voice

შე ჩერ დით გე ყო ფათ ამ დე ნი სისხ ლის ღვრა

Piano

გე ყო ფათ შე ჩერ დით ნუ ღარ გვეს ვრით

ნუ გვიქმ ნით სისხ ლი ან ე პო ქას

mf

მსოფ ლი ო ჩაფ ლუ ლა სისხ ლის ფერ ბნე ლეთ ში

mf


უ და ნა შა უ ლო სის ხლში აქვთ გასვ რი ლი
უ ამ რავს ხე ლე ბი ამ დე ნი ო მე ბი
ამ დე ნი ტე რაქ ტი


რამ დე ნი ხალ ხი ა უწ ყა ლოდ ნა ხო ცი ვერ დათვ ლის ვე რა ვინ
f
შე ჩერ დით გე ყო ფათ
f
ამ დე ნი სის ხლის ღვრა გე ყო ფათ შე ჩერ დით ნუ


ღარ გვეს ვრით ნუ გვიქმ ნით სიხხ ლი ან ე პო ქას
ff

მსოფლიო ჩაფლულა სისხლისფერ ბნელეთში,
უდანაშაულო სისხლში აქვთ გასვრილი უამრავს ხელები,
ამდენი ომები ამდენი ტერაქტი,
რამდენი ხალხია უწყალოდ ნახოცი,
ვერ დათვლის ვერავინ.

მისამღერი:
შეჩერდით გეყოფათ, ამდენი სისხლისღვრა გეყოფათ,
შეჩერდით ნუღარ გვესვრით, ნუ გვიქმნით სისხლიან ეპოქას.

უფალი ერთია რაც გინდა დაარქვით,
ამ სისხლის გუბეებს არავის პატიობს ღმერთიც და ალაჰიც,
შეჩერდით გააქრეთ სასროლი ბომბები,
ვერაფერს მოვიგებთ უბრალოდ გავწყდებით,
უაზრო ომებით.

დიდმის მაწონი

2019 ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი მზია გელაშვილის



©

2


ლი ძმა კაც მა გა მო მაღ ვი ძა რა დროს ძი ლი ა
ქუ ჩის ბო ლოს ჩა ირ ბი ნე მა წონს ყი დი ან ძმა კაც მა რომ
და ი ნა ხა გა და ი რი ა ძმა კაც ბი ჭო ეგ გო გო ხომ

3


ჩე მი ქა ლი ა
f
მე ქა ლი შენ მა წო ნი დიდ მის მა წო ნი
f
შა ორ გე და აზ რებს ა წო ნი ქა ლი მა ინც

4


მაც დუ რი ნაცვრის თვა ლი ა ი ცო დე ჩვე ნი
ძმო ბა მე ტი ა ნი
1
2
mf
კოხ ტა ქა ლი გზად შე მომხვ და მაწვ ნის ფე რი სა ყე ლი მო ე
mf

5


ღე რე ბი ნა ხო ხო ბი ვი თა თვა ლე ბი ე ნა ბე ბო და
შვლის ნუკ რი ვი თა მოხ დე ნი ლი მო დი ო და გა ვა ზი ვი
თა მა წო ნი ვი ღას ახ სოვ და დავდ ნი ცქე რი თა

6


მე რე უ კან და ვე წი ე მწე ვა რი ვი თა
f
მე ქა ლი შენ მა წო ნი
f
დიდ მის მა წო ნი შა ირ გე და აზ რებს ა წო ნი


7
ქა ლი მა ინც მაც დუ რი ნატვ რის თვა ლი ა
ი ცო დე ჩვე ნი ძმო ბა მე ტი ა
1
2
ნი
rit.

მეიდანში ალიონზე ყივის მამალი,
აბა დიღმის მაწონიო გასძახის ქალი,
ძმაკაცმა გამომაღვიძა რა დროს ძილია,
ქუჩის ბოლოს ჩაირბინე მაწონს ყიდიან.
ავდექი არ დავაყოვნე დაღმართს ჩავყევი,
ქალმა ქილა მომაწოდა იქვე გავშეშდი,
შავხედე და შამამხედა სულ დამაბნია,
გოგო იყო, ო რა ქალი მზის სადარია.
ძმაკაცმა რომ დაინახა გადაირია,
ძმაკაც ბიჭო ეგ გოგო ხომ ჩემი ქალია.

მისამღერი: მე ქალი შენ მაწონი, დიღმის მაწონი,
შაირგე და აზრებს აწონი,
ქალი მაინც მაცდური ნატვრის თვალია,
იცოდე ჩვენი ძმობა მეტია.
ქალიც შენ და მაწონიც ბევრზე ბევრია,
თუმცა ძმობა უფრო მეტია,
ქალი მე, შენ მაწონი დიღმის მაწონი,
იკმარე, წადი ჭამე მაწონი.

კოხტა ქალი გზად შემომხვდა მაწვნის ფერისა,
ყელი მოეღერებინა ხოხობივითა,
თვალები ენაბებოდა შვლის ნუკრივითა,
მოხდენილი მოდიოდა გავაზივითა.
მაწონი ვიღას ახსოვდა დავდნი ცქერითა,
მერე უკან დავედევნე მწევარივითა.

დაგიბრუნდები თბილისო

2015 წ. ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი მანანა დონაძის



©


ან ქუ ჩებს ეს ქვა ფე ნი ლი
ჩემს საყ ვა რელ ქა ლაქს მა გო ნებს
რო გორ და ი დოს გულ მა ბი ნა სხვა ქვე ყა ნა ში


ან რო გორ შეძ ლებს
სუ ლი ჩე მი სხვა გან
ხა რობ დეს
მო გო ნე ბე ბი
თავ ბრუს მახ ვევს მე ჩურ ჩუ ლე ბა


მა ი სის წვი მაც ი სე თბი ლად არ მე ფე რე ბა
იქ ჩემს ქა ლაქ ში
ხალ ხიც თით ქოს სხვა გვა რად გიმ ზერს


სხვა სიყ ვა რუ ლით
ღამ დე ბა და ი სევ
თენ დე ბა
ჩე მი
თბი ლი სი პა ტა რა
f
f
ოც ნე ბა
ჩე მი
ქა ლა ქი სიყ ვა რუ ლის
ჩე მი


თბი ლი სი ყო ველ თვის ლა მა ზი ზღა პა რი
ჩე მი ფიქ რი და ლა მა ზი სიმ ღე რა ჩე მი
ჰან გი და ლა მა ზი დღე ი სევ შენ ი სევ შენ და გიბ


რუნ დე ბი თბი ლი სო

უცხო მხარეში მივუყვები წვიმიან ქუჩებს,
ეს ქვაფენილი ჩემს საყვარელ ქალაქს მაგონებს,
როგორ დაიდოს გულმა ბინა სხვა ქვეყანში,
ან როგორ შეძლებს სული ჩემი სხვაგან ხარობდეს.

მოგონებები თავბრუს მახვევს, მეჩურჩულება,
მაისის წვიმაც ისე თბილად არ მეფერება,
იქ ჩემს ქალაქში, ხალხიც თითქოს სხვა გვარად გიმზერს,
სხვა სიყვარულით ღამდება და ისევ თენდება.

მისამღერი:

ჩემი თბილისი, პატარა ოცნება,
ჩემი ქალაქი სიყვარულის,
ჩემი თბილისი, ყოველთვის ლამაზი ზღაპარი.
ჩემი ფიქრი და ლამაზი სიმღერა,
ჩემი ჰანგი და ყოველი დღე,
ისევ შენ ისევ შენ დაგიბრუნდები თბილისო.

მე შენს გაზაფხულს, შენს ქუჩებში ისევ შევხვდები,
მომნატრებია რუსთაველზე გასეირნება,
შენს სიყვარულში მზის ამოსვლას დაველოდები,
აბა რად მინდა მე სხვა ქვეყნის ბედნიერება.

დარჩა მოგონებად

2019 წ. თბილისი - ათენი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ინდა ლონდარიძის

Animato

Voice

Piano

f

𝄋 *mf*

ვი გო ნებ ი სევ გარ და სულ წლებს

𝄋

mf

ჩვენ ერ თად ა დარ ვართ დღეს რო გორც უ წინ


ა მა ოდ გიც დი ვი ცი ა დარ მოხ ვალ
ის დრო ა რას დროს დაბ რუნ დე ბა
დარ ჩა მო გო ნე ბად ვე ცა დე მაგ რამ


ვერ და გი ვიწ ყე გი გო ნებ მახ სოვ ხარ
f
სად რაც შორს სად დაც შორს
f
უც ნა უ რად ა თოვ და და თოვ ლიდ
ბი ლი კებს სიყ ვა რუ ლი ახ სოვ დათ
𝄋
𝄋

ვიგონებ ისევ, გარდასულ წლებს, ჩვენ ერთად აღარ ვართ,
დღეს როგორც უწინ, ამაოდ გიცდი, ვიცი აღარ მოხვალ,
ის დრო, არასდროს დაბრუნდება, დარჩა მოგონებად,
ვეცადე მაგრამ ვერ დაგივიწყე გიგონებ, მახსოვხარ.

გზად გამოვყევი, ბოლო იმედს, მაგრამ შენ არ სჩანხარ,
დღეს ჩვენი ძველი, შეხვედრის ადგილს ისევ დაათოვა.
მითხარი... გახსოვს... არ გშორდება ....ფიქრმა არ დაგტოვა,
კვალი, რომელიც არ წაიშლება, სიყვარულმა დატოვა.

მის : სადღაც შორს, სადღაც შორს, უცნაურად ათოვდა...
დათოვლილ ბილიკებს, სიყვარული ახსოვდათ.

დღეები, ჩემი სინანულის, კვლავ გულის ხმას აჰყვა...
ო, როგორ შევცდით, ან რატომ ვერ ვთქვით.... უკვე დაგვიანდა.
იქნებ შენც ნანობ განშორებას, იქნებ შენც მარტო ხარ...
კვალი, რომელიც არ წაიშლება სიყვარულმა დატოვა.

ო, როგორ მიყვარხარ

(2019 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით ქურიძის

Allegretto




გა ზაფ ხუ ლი ა
შე მოდ გო მა ა
შე ნი მოწ ყე
ნა
მოსვ ლა ვარ დე ბის
თა ი გუ ლი ა
წახვ ლა წვი მე ბი
და ფო თოლთ ცვე ნა


f
ო რო გორ მიყ ვარ ხარ
რო გორც ლექ სი ნამ ღე
f
3
რი
მიყ ვარ ხარ მიყ ვარ ხარ
რო გორც დი ლა ნა თე
3
ლი
ო რო გორ მიყ ვარ ხარ
3


რო გორც ჩო ხას ქარ თვე ლი
მიყ ვარ ხარ მიყ ვარ ხარ
რო გორც ტა ძარს სან თე ლი
მიყ ვარ ხარ მიყ ვარ ხარ
რო გორც ტა ძარს სან თე ლი

შენი ღიმილი, გაზაფხულია,
შემოდგომაა, შენი მოწყენა,
მოსვლა ვარდების თაიგულია,
წასვლა წვიმები და ფოთოლთცვენა.

მისამღერი: ო, როგორ მიყვარხარ! – როგორც ლექსი ნამღერი;
მიყვარხარ, მიყვარხარ! – როგორც დილა ნათელი;
ო, როგორ მიყვარხარ! – როგორც ჩოხას ქართველი;
მიყვარხარ, მიყვარხარ! – როგორც ტაძარს სანთელი;

შენი ღიმილი, ბედის კოცნაა,
განაჩენია, შენი მოწყენა,
მოსვლა მზეობა და ღვთის ლოცვაა,
წასვლა წვიმები და ფოთოლთცვენა.

მისამღერი: ო, როგორ მიყვარხარ! ...

შენი ღიმილი, ცისარტყელაა,
მზის დაბნელება - შენი მოწყენა;
ჩვენი შეხვედრა, ვარსკვლავთცვენაა,
გაყრა - წვიმები და ფოთოლთცვენა;

მისამღერი: ო, როგორ მიყვარხარ! ...

გაგვიმარჯოს ყველას

(2020 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი მზია გელაშვილის

Allegro molto




მაშ შევ სვათ ყვე ლამ ყვე ლამ ყვე ლამ გაგ ვი მერ ჯოს
ყვე ლას ყვე ლას ყვე ლას ვიმ ღე როთ სა ნამ გუ ლი ფეთ ქავს
სი ცოცხ ლე დავ ლო ცოთ რა იქ


ნე ბო და ცხოვ რე ბა ჩვე ნი მე გო ბა რი რომ არ ყო ფი
ლი ყო ა ბა დავ ლო ცოთ მაშ ჩვე ნი ძმო ბა ერთ მა
ნეთს გუ ლი გა ვუ ხა ლი სოთ ა ხალ ნა თე ბას ცისკ რის ა


მოსვ ლას ყო ველ ა ხალ დღეს ყო ველ ა ხალ წელს მე გობ
რის ეშ ხით და სი ლა ზა თით მო აქვს ი მე დი და სი ლა მა
ზე მაშ გა უ მარ ჯოს ამ წმინ და გრძნო ბას


3
ვიდ რე ვართ ამ ქვე ყა ნა ზე
მაშ შევ სვათ
ყვე ლამ ყვე ლამ ყვე ლამ
გაგ ვი მარ ჯოს
ყვე ლას ყვე ლას ყვე ლას
ვიმ ღე როთ სა ნამ გუ ლი ფვთ ქავს


სას მის ში ღვი ნო ე ლავს მაშ შევ სავათ
ყვე ლამ ყვე ლა ყვე ლამ გაგ ვი მარ ჯოს
ყვე ლას ყვე ლას ყვე ლას ვიმ ღე როთ სა ნამ გუ ლი ფეთ ქავს


1
სი ცოცხ ლე დავ ლო ცოთ
ხე ლი
2

რა იქნებოდა ცხოვრება ჩვენი,
მეგობარი რომ არ ყოფილიყო,
აბა დავლოცოთ მაშ ჩვენი ძმობა,
ერთმანეთს გული გავუხალისოთ.

ახალ ნათებას, ცისკრის ამოსვლას,
ყოველ ახალ დღეს, ყოველ ახალ წელს,
მეგობრის ეშხით და სილაზათით,
მოაქვს იმედი და სილამაზე.
მაშ გაუმარჯოს ამ წმინდა გრძნობას
ვიდრე ვართ ამ ქვეყანაზე.

მისამღერი: მაშ შევსვათ ყველამ, ყველამ, ყველამ,
გაგვიმარჯოს ყველას, ყველას, ყველას,
ვიმღეროთ სანამ გული ფეთქავს, სასმისში ღვინო ელავს,
მაშ შევსვათ ყველამ, ყველამ, ყველამ,
გაგვიმარჯოს ყველას, ყველას, ყველას,
ვიმღეროთ სანამ გული ფეთქავს სიცოცხლე დავლოცოთ.

ხელი ხელს მივცეთ, გული გულს ვანდოთ,
ერთურთის ნდობა არ მოგვეშალოს,
კაცურკაცობის ნამუსის ქუდი,
მუდამ გვეხუროს, არ მოგვეხადოს.

ახალ ნათებას, ცისკრის ამოსვლას,
ყოველ ახალ დღეს, ყოველ ახალ წელს,
მეგობრის ეშხით და სილაზათით,
მოაქვს იმედი და სილამაზე.
მაშ გაუმარჯოს ამ წმინდა გრძნობას
ვიდრე ვართ ამ ქვეყანაზე.

წითელი კაბა

(2020 წ. ქ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი მზია გელაშვილის

Allegro molto




p
რო გორ გიხ დე ბა
სიყ ვა რულ ზე ამ ღე რე ბა
p
p
რო გო რა გშვე ნიხ
წი თე ლი კა ბა


თმე ბი გაშ ლი ლი და ლა ლე ბად ჩა მოყ რი ლი
გიმ შვე ნებს და გე ფე რე ბა თან
mf
შენს კენ ვიჩ ქა რი ნაც ნობ ბი ლიკს მი ვიყ ვე ბი
mf
mf


და ი სიც ვი ცი რო გორ მე ლი შენ
დრო ნე ლა გ დის მინ და სწრა ფად მე შეხ ვედ რა
გულ ში ჩაკვ რა და ჩა ხუ ტე ბა


f
წი თე ლი კა ბა რო გორ გიხ დე ბა
f
f
ი ცეკ ვე და ა ა ცეკ ვე ა ა ცეკ ვე სხვაც
და სიყ ვა რუ ლით გა ლა ღე ბუ ლი


იმ დე რე და ა ამ დე რე სხვაც
f

წითელი კაბა

როგორ გიხდება სიყვარულზე ამღერება,
როგორა გშვენის წითელი კაბა,
თმები გაშლილი დალალებად ჩამოყრილი,
გიმშვენებს და გეფერება თან.

შენსკენ ვიჩქარი, ნაცნობ ბილიკს მოვუყვები,
და ისიც ვიცი როგორ მელი შენ,
დრო ნელა გადის, მინდა სწრაფად მე შეხვედრა,
გულში ჩაკვრა და ჩახუტება.

<u>მისამღერი:</u>

წითელი კაბა როგორ გიხდება,
იცეკვე და ააცეკვე, ააცეკვე სხვაც
და სიყვარულით გალაღებული
იმღერე და აამღერე სხვაც.

მე შენ გადარებ გაფხულის ყვავილობას,
მაისის წვიმას, ია-ენძელას,
და გაზაფხულზე აფეთქებულ ატმის რტოებს,
შენს კაბისფერი ვარდების ბუჩქს.

ეგ კაბა გშვინის, თუ შენ შენი კაბას,
სულ დავიბენი, არ ვიცი რა ვქნა,
თუ სიმღერისთვის მოგავლინა ქვეყნად ზენამ,
მაშ შენთან ერთად მამყოფე მე.

ჩემო რუსთავ ქალაქო

(2020 წ. ქ.თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის

Allegro non troppo




mf
რუსთავ ქალაქსთუ ეწ ვე ვი
mf
mf
თუ გაჰ ყვე ბი მის ქუ ჩებს


მყის ვე იგრძ ნობ რომ ე ხე ბი სულ სხვა სით ბოს და ნუ
გეშს მიყ ვარს მი სი პარ კი სკვე რი
მტკვარ ზე ხი დი ნაც ნო ბი


ხალ ხი მი სი ხელ მარ ჯვე და ფო ლა დი ვით ნაწრ თო
f
ბი
მი სი ხიბ ლი მი სი ხე დი
f
f
დამ დევს ყველ გან სულ მახ სოვს


უფ რო მე ტად გაძ ლი ერ დი გაძ ლი ერ დი რუს თა
ვო მე დაგ ნა თის ი სე კარ გად
ცაც ლა მა ზად დაგ ყუ რებს


სიყ ვა რუ ლი ა სე არ სად ა სე არ სად აც ხუ
ნებს

რუსთავ ქალაქს თუ ეწვევი,
თუ გაჰყვები მის ქუჩებს,
მყისვე იგრძნობ რომ ეხები
სულ სხვა სითბოს და ნუგეშს.

მიყვარს მისი პარკი-სკვერი,
მტკვარზე ხიდი ნაცნობი,
ხალხი მისი ხელმარჯვე და
ფოლადივით ნაწრთობი.

ეს თბილისის შვილობილი,
მეტალურგთა ქალაქი,
უნდა ნახოთ რა კარგია,
მისი კუთხე ალაგი.

მიყვარს სამფლობელო მტკვარის,
ყოფნა იქ ტყე-ჭალაში,
ძმობა მრავალეროვანთა,
ხიბლი არის ამაში.

მისამღერი: მისი ხიბლი, მისი ხედი,
დამდევს ყველგან, სულ მახსოვს,
უფრო მეტად გაძლიერდი
გაძლიერდი რუსთავო.

მზე დაგნათის ისე კარგად,
ცაც ლამაზად დაგყურებს,
სიყვარული ასე არსად,
ასე არსად აცხუნებს.

ამ დროს თბილისს მიმავალი,
მოვარდნილი ნიავის,
ხოხობივით გადაფრენა,
არის კარგი ნიშანი.

ინდუსტრიის დამკვიდრების
წარსული გაქვს უდავო,
ლამაზ დღეთა შემოქმედო,
გაგიმარჯოს რუსთავო.

შენ პატარა ხაშურო

(2020 წ. ქ. თბილისი)

მუსკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის




ბურ ჯი მი სი დღემ დე გზა გა სა ყარ ზე ქვიშ ხე თი დან
სა ა კა ძის მო დის ხმა ლის ქლა რუ ნი გმი რო ბის და
თავ და დე ბის გიდ გას სუ ლი ქარ თუ ლი გა დი ყა რე


დრუ ბე ლი და მზე დაგ ნა თის სხვა გვა რი სი კე თის და
გა მარ ჯვე ბის წლე ბი განვ ლე მრა ვა ლი
მთით ნა ბე რი სუს ხი გმო სავს და ხარ გრი ლი სა ვა ნე


ხა შუ რო და ხა შურ ლე ბო გლო ცავთ თქვენ გე ნაც ვა ლეთ
ხა შუ რო და ხა შურ ლე ბო გლო ცავთ თქვენ გე ნაც ვა
ლეთ გლო ცავთ თქვენ გე ნაც ვა


ლეთ
გლი ცავთ ოქვენ გე ნაც ვა
ლეთ

ბორჯომსა და სურამს შორის
ასავალ-დასავალზე,
დგახარ როგორც ბურჯი მისი,
დღემდე გზა გასაყარზე.
ქვიშხეთიდან სააკაძის
მოდის ხმალის ჟღარუნი,
გმირობის და თავდადების
გიდგას სული ქართული.
გადიყარე ღრუბელი და
მზე დაგნათის სხვაგვარი,
სიკეთის და გამარჯვების
წლები განვლე მრავალი.
მისამღერი: მთით ნაბერი სუსხი გმოსავს,
და ხარ გრილი სავანე,
ხაშურო და ხაშურლებო,
გლოცავთ, თქვენ გენაცვალეთ.
ჩვენო დიდო სიამაყევ,
სანდომო და საშურო,
როგორც მთვარეს ისე გვავსებ,
სიყვარულით ხაშურო.
წიფის გვირაბს შენთან მოყავს
ყველა მატარებელი,
ყველა სტუმრის მიმღები ხარ
ყველას გავცილებელი.
რკინიგზელთა სიამაყევ,
შენ პატარა ხაშურო,
ნაღდ ქართველთა მშობელი ხარ,
ბევრისთვის შესაშურო.
გადებული ხარ შენ ხიდი
სიყვარულით სავალი,
დასავლეთს და აღმოსავლეთს
შორის შუამავალი
მიყვარს გზის პირზე ნაყიდი
შენი ნაზუქი ტკბილი
მის გამომცხვარ ქალბატონებს
დაელოცოთ მანდილი.
ღვინო მიყვარს შენი შავი,
დირბულა და ძველშავი,
ქეიფში და მოლხენაში,
ვერ გჯობიათ ვერავინ.

გაგიმარჯოს ზუგდიდო

(2020 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლესი თამაზ გველესიანის

Vivo, vivace




შენ ლა მა ზო ზუგ დი დო რო გო მინ და სულ გე ფე რო
შენ თან მინ და სულ ვი ყო სა დაც წა ველ შე ნი ელ და
ყველ გან წა მო მე წი ა უ შე ნო ბის მომ კლავს სევ და


უ შე ნო ბა ძნე ლი ა
უ შე ნო ბა ძნე ლი ა
f
სა მეგ რე ლოს გუ ლი ხარ და კურ თხე უ ლი ა ლა გი
f
ძმო ბი სა და სიყ ვა რუ ლის სა ვი ზი ტო ბა რა თი


და გე ლო ცოს ი ავ ნა ნა დაბ ჭე უ ლი აკ ვა ნი სა მეგ რე ლო
ერ თი ა და სხვა გან არ სად არ ა რის
სხვა გან არ სად არ ა რის


სხვა გან არ სად არ ა რის

ჩემო დიდო სიამაყევ,
შენ ლამაზო ზუგდიდო,
როგორ მინდა სულ გეფერო,
შენთან მინდა სულ ვიყო.
სადაც წაველ შენი ელდა
ყველგან წამომეწია,
უშენობის მომკლავს სევდა,
უშენობა ძნელია.

მისამღერი: სამეგრელოს გული ხარ და
კურთხეული ალაგი,
ძმობისა და სიყვარულის
სავიზიტო ბარათი.
დაგელოცოს იავნანა,
დარწეული აკვანი,
სამეგრელო ერთია და
სხვაგან არსად არ არის.

დადიანთა მშობელი ხარ
და ცოტნეთა გამზრდელი...
მუდამ შენი მეხოტბე ვარ
მადლი მოგდევს რამდენი.
გენაცვალე შენ ზუგდიდო,
ჩემო ზუგდიდელებო,
სიხარულო ჩემო დიდო,
სამოთხევ და ედემო.

მიყვარს შენი ყველა ქუჩა,
ყველა კუთხე, კუნჭული,
ხვთაებრივი ოჯალეში,
ელარჯი და სულგუნი.
უფლის მადლი არ მოგაკლოს,
წინსვლის ნიჭი, მიზანი
გაგიმარჯოს შენ ზუგდიდო,
გიმრავლოს საფიცარი.

სიყვარულის ბალადა

(1998 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ნანა დარჩიაშვილის

Allegro vivace




mp
ჩემს სარკ მელ ში მთვა რემ შე მო ა ნა თა
mp
შე ვა გე ბე სევ დი ა ნი თვა ლე ბი


რა ვი დო ნო შენ ზედ დარ დი მე რე ვა
მომ დე ბი ა სიყ ვა რუ ლის ა ლე ბი
ძილ გა ტე ხილს მთვა რე მრ ა ლერ სე ბა


გა რეთ გა ველ ვე ხე ტე ბი ძა ლა და
მოწ ყე ნი ლი გა მოვ ყვე ბი ბი ლი კებს
მო ვის წრა ფი მე შენს სა ნა ხა ვა და


f
სის ხამ დი ლით მზის ა მოსვ ლა ვი ხი ლოთ
f
ფი ციო შევხ ვდეთ ერ თად ვი ყოთ მა რა და
სა ლო ცავ ში ლე ლაპტ რე ბი ა ვან თოთ
ვი გა ლო ბოთ სიყ ვა რუ ლის ბა ლა და

სიყვარულის ბალადა

ჩემს სარკმელში მთვარემ შემოანათა,
შევაგებე სევდიანი თვალები,
რა ვიღონო შენზედ დარდი მერევა
მომდებიაააა სეყვარულის ალები.
ძილგატეხილს მთვარე მეალერსება,
გარედ გაველ ვეხეტები ცალადა,
მოწყენილი გამოვყევი ბილიკებს,
მოვისწრაფი მე შენს სანახავადა.

მისამღერი: სისხამ დილით მზის ამოსვლა ვიხილოთ
ფიცით შევხვდეთ, ერთად ვიყოთ მარადა,
სალოცავში კელაპტრები ავანთოდ,
ვიგალობოთ სიყვარულის ბალადა.

მთვარითა და ვარსკვლავებით მორთული,
ცა დამყურებს მე ღამის სტუმარი ვარ,
მთვარის შუქზე ხეტიალი მაწყნარებს,
სიყვარულზე მომღერალი ქალი ვარ.
კენტად ყოფნას გული ვეღარ გაუძლებს,
უშენობა გამიხდება შარადა,
ოხ, ნეტავი გზაში შემომეყარო,
ჩემს ნახვაზედ ოცნებობდი თავადა.

მამული ჩემო

(2021 წ. თბილისი)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თამაზ გველესიანის

Moderato assai




p
შე მო გევ ლე სა ქარ თვე ლო ჩე მო დი დო სა ფიქ რა
p
ლო შენ მა მუ ლო სა ნატ რე ლო
სა ხა ტევ და სა ფი ცა რო


ვი ცი მკვდრე თით რო გორ ადს დექ შე ნი წარ სუ ლი საგ მი
რო ახ ლა ხიბ ლით ი სე გვავ სებ
რო გორც სას მიხს ავ სებს ღვი ნო


f
და გე ლო ცოს ჩაკ რუ ლო და ურ მუ ლი
f
დი ა დი მრა ვალ ჟა მი ე რი
ღვთის მშო ბე ლის სან თე ლი ხარ სან თე ლი


ტკი ვი ლიც ხარ სი ხა რუ ლიც შენ
rit.
rit.
rit.

შემოგევლე საქართველო,
ჩემო დიდო საფიქრალო,
შენ მამულო სანატრელო,
სახატევ და საფიცარო.
ვიცი მკვდრეთით როგორ აღსდექ,
შენი წარსული საგმირო,
ახლა ხიბლით ისე გვავსებ,
როგორს სასმისს ავსებს ღვინო.
რა დიდი ხარ, ღმერთო ჩემო,
რა დიდი ხარ, შენ პატარა...
შენ შეგხარი საქართველო,
ვერ ვიცოცხლებ მე სხვაგვარად.
შენთვის ვცოცხლობ, თუ დაგჭირდა,
პერანგი ვარ შენი ჯაჭვის,
მე ვიტვირთებ დიდგორს, მინდა
შეგეწირო თუნდაც ცხრაგზის.

მისამღერი: დაგელოცოს ჩაკრულო და ურმული,
დიადი მრავალჟამიერი,
ღვთისმშობელის სანთელი ხარ, სანთელი,
ტკივილიც ხარ სიხარულიც, შენ.

შემოგავლეს მარწუხები,
შენში ბევრი მეცილება,
დედის რძე ხარ მხოლოდ ჩემთვის,
და ის სხვისთვის ვერ იქნება.
ჩემი სულის სავანე ხარ,
საძვალე და სანავარდო,
ვისაც ვერ ვთმობ, ეს ხომ შენ ხარ,
შენ ხარ მხოლოდ, შენ ხარ მარტო.

სიყვარულს უნდა შველა

(თბილისი 2021 წ.)

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი მზია გელაშვილის

Andante maestoso




ხარ მო ნატ რე ბა გუ ლი სა
და კა ე შა ნი დარ დის
რა ფე რი აქვ სო სიყ ვა რულს
მო ნატ რე ბა რომ სდევ სო
რამ დე ნი ხა ნი გა სუ ლა
გუ ლი ვერ გი ვიწ ყებ სო


რამ დე ნი ხა ნი გა სუ ლა
გუ ლი ვერ გი ვიწ ყებ სო
mf
სიყ ვა რულს მალ ვა რად უნ და
სიყ ვა რულს უნ და შვე ლა
mf
რო გორც ვარდ შვე ნის ბულ ბუ ლის
ნა ზი სა ა მო სტვე ნა


რო გორც ვარდს შვე ნის ბულ ბუ ლის
ნა ზი სა ა მო სტვე ნა
3
3
რო გორც ვარდს შვე ნის ბულ ბუ ლის
rit.
3
სა ა მო სიმ დე რა
rit.
rit.
p

სუნთქვა ხარ გაზაფხულისა,
სურნელი ია-ვარდის,
ხარ მონატრება გულისა,
და კაეშანი დარდის.
რა ფერი აქვსო სიყვარულს,
მონატრება რომ სდევსო,
რამდენი ხანი გასულა,
გული ვერ გივიწყებსო.

მისამღერი: სიყვარულს მალვა რად უნდა
სიყვარულს უნდა შველა,
როგორც ვარდს შვენის ბულბულის,
ნაზი, საამო სტვენა.
როგორც ვარდს შვენის ბულბულის,
საამო სიმღერა.

სიმღერით და სიყვარულით,
ვივლი მთელი ცხოვრება,
არ არსებობს ამ ქვეყანას,
უფრო მეტი ქონება.
გაზაფხულს დაველოდები,
ატმის ყვავილთა თოვას,
დრომ ვერაფერი დააკლო,
იმ სიყვარულის ხსოვნას.